ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა განთავისუფლება—მუშათა საქმეა

# ახალი ნაკადი

ფასი 3 მან.

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირის ორგანო.

კვირა 11 აპრილი,

№ 5 1920 წ.

რედაქციის ადრესი: ელისაბედის ქ. № 139,
ფული უნდა გამოიგზავნოს: რუსთაველის პროსპექტი
სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხ., პლ. ლეჟავას.

წელ. 2. გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით წელ. 2.

**ამხანაგებო!** გახსოვდეთ, რომ **„ახალი ნაკადი“** თქვენი ინტერესების დამცველია. აიღეთ წვლილი გაზეთის ფონდისათვის და გამოზავნეთ წერილები. **ამხანაგებო!**

**ჩვენი აღდგომა.**

ცხრამეტი საუკუნის წინად ცხოვრების ულმობელ პირობებისგან სასოწარკვეთილმა ადამიანებმა შეჰქმნეს ლამაზი ლეგენდა სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვის შესახებ. და დღემდის გაისმის საერთო მილოცვა მკვდრეთით აღდგომისა, სულიერი განახლებისა... მაგრამ თუ პირველ ხანებში ეს მილოცვა სულის სიღრმიდან გამოდიოდა, მტკიცე და ურყევი სარწმუნოების ანარეკლი იყო, თუ იგი უწრფელესი ლალადისი იყო ქვეყნიური სინამდვილით გულმოკლული ქრისტიანისა, დღეს იგი არსებითად უბრალო შაბლონია, ტრადიციაა და სხვა არაფერი.

ჩვენ შრომის უბეში აღზრდილი და მისი მატარებელნი, დიდი ხანია მოკლებული ვართ ამ სარწმუნოებრივ გრძნობათა ლალადის. ჩვენი სარწმუნოებაა აეხსნას შრომას ბორკილები, დაემხოს ბოროტების სამეფო, მკვდრეთით აღსდგეს თავისუფალი და სრული—ყოფილი პიროვნება. ჩვენი ფიქრები და განცდა ამ ქვეყნად იწყება და ამ ქვეყნადვე თავდება. ჩვენც შევხარით დიდ აღდგომას, როდესაც განახლებულ ცხოვრებას დაეწაფება განაწამები კაცობრიობა და იშვებენ და იხარებენ კეთილი მუშაკნი. ამ აღდგომას თითქოს ბევრი შეჰხარის, ყოველ-შემთხვევაში სხვათა საჩვენებლად მაინც, მაგრამ მათი მოქმედება უმთავრესად ეს არის მოქმედება ფარისეველთა და მწიგნობართა, რომელიც, თუ ჯერ კიდევ არ აცვეს ჯვარს შრომის ქრისტე, ვინ იცის, ახლო მომავალში მაინც ვისმინოთ მათგან: ჯვარსაცვ, ჯვარსაცვ ეგი!

ბევრისთვის ეს დიდი განახლება— აღდგომა — მხოლოდ მოგონებად, საზეიმო გამოსვლების მასალად, ტრადიციად გადაქცეულა.

მათ დიდი ხანია დალუქეს თვის ტაძრები და შესავალში ერთგული დარაჯები დააყენეს... ესენიც ხშირად იგონებენ ამ აღდგომას.

რატომაც არა! ეს მოგონება მათ ხომ არაფერს ავალებს, გარდა სიტყვების რახა რუხისა!

ჩვენთვის ეს აღდგომა ჩვენი არსებობის ერთად ერთი მიზანია, ერთად ერთი საფუძველი, ურომლისოდ ჩვენი ამ ქვეყნიური ყოფნა წარმოუდგენელი უაზრობა იქნებოდა.

ამ აღდგომის ვნების კვირა უკვე დაიწყო...

და მზად ხართ, თუ არა ამხანაგო მუშებო, დავანგრიოთ სამარე, ლოდებისაგან აშენებული, და ქვეყანას მიუძღვნათ დიდი განახლება, საერთო აღდგომა, შვება და ბედნიერება!

## პროფესიონალური კავშირების არჩევნები.

ამ ორიოდე დღის წინად დამთავრდა ტფილისის ტრამვაის მუშათა პროფესიონალური კავშირის არჩევნები. ჩვენ ამ არჩევნებში სრულიად დამოუკიდებლად გამოვედით. თუ ერთის მხრივ იდგნენ პოლიტიკურ სოციალისტურ, პარტიები, რომელთაც სულ სხვა მოსაზრებანი დაესახათ მიზნად, ჩვენ პირდაპირ და გარკვეულად ვეუბნებოდით ტრამვაის მუშებს: არა პარტიის კანდიდატს, არამედ პროფესიონალური გამოცდილების სტაჟით აღჭურვილს და მუშათა ინტერესების დამცველ კანდიდატს მიეცით ხმა. ეს აზრი დიდი ხანია შეიგნეს დასავლეთ – ევროპის მუშებმა; ამას წინად გერმანიის მუშებმა გარკვეულად დაადგინეს: არჩევნებში არ იხელმძღვანელონ პარტიული მოსაზრებებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ წმინდა პროფესიონალური თვალსაზრისით. ჩვენში, კი სამწუხაროდ, მუშათა უმრავლესობა ჯერ კიდევ პოლიტიკურ პარტიებს მისდევს კუდში და დღემდის ვერ შეუგნია თვისი მოვალეობა. ამიტომ საყურადღებო იყო ტრამვაის არჩევნები. მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებისა ჩვენ მივიღეთ 90-დი ხმა და ერთი წარმომადგენელიც გავიყვანეთ. თუ პოლიტიკურ-სოციალისტურ პარტიებს უფლება აქვსთ, იამაყონ სხვა და სხვა არჩევნებში მიღებული „მრავალფეროვანი“ ხმებით, ჩვენც **შეგვიძლია თამამათ ვსთქვათ, რომ ტფილისის ტრამვაის მუშებში პირველი გამარჯვება ჩვენ გვხვდა წილად.** სუსტი იყო ჩვენი ხმა, მაგრამ ძლიერია თავის თავად იდეა რევოლიუციონურ სინდიკალიზმისა. და თუ ჯერ კიდევ სხვათა კარნახი ძლიერია ჩვენს მუშათა შორის, მით უფრო საყურადღებოა ის შედეგი, რომელიც წილად ხვდა ჩვენს სიას. ეჭვი არ არის, მოკლე დროში მთელი ტრამვაის მაშვრალნი ჩვენს გზას დაადგებიან და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ფართოდ ჩაებმებიან. ვულოცავთ ტრამვაის ამხ. მუშებს ამ პირველ გამარჯვებას და უსურვებთ მეტის ენერგიით განეგრძოთ დიადი საქმის წმინდა სამსახური.

ანაბაპტისტი.

## ჩვენს ტაქტიკაზე.

II.

**რა არის ტაქტიკა.**

რა არის ტაქტიკა და როგორ უნდა გვესმოდეს ჩვენ?!

ტაქტიკა ქვიან მოქმედების იმ საშვალებებს რომლის შემწეობითაც დასახულს მიზნებს გზას ვუკაფავთ და ვცდილობთ რაც შეიძლება დაჩქარებით და მოხერხებულათ გავატაროთ იგი ცხოვრებაში. ცხადია, ყველა პარტიას აქვს თავის საკუთარი ტაქტიკა, რომელიც უსათუოდ უნდა გამომდინარეობდეს მსოფლიო მხედველობიდან ან და როგორც ჩვენი ამხანაგი „ტაქტიკის“ ავტორები ლაპარაკობენ ტაქტიკა ჩვენის ლოღიკით უნდა გამომდინარეობდეს პარტიის თუ კავშირის მსოფლიო მხედველობიდან და მასზე რკინის ჯაჭვით უნდა იყოს მიჯაჭული, ვინაიდან მსოფლიო მხედველობა მუდამ განაგებს და ხსნის ტაქტიკას. თუ პარტიას გამგე პრინციპებიდან გამომდინარე ტაქტიკა არა აქვს, მაშინ მას ასეთი მდგომარეობა ასუსტებს ფიზიკურათ. უქარწყლებს იდეალებს, უფერხებს მოქმედების ყოველივე ეგ კი პარტიის დაღუპვის გზაზე მიაქანებს და ამ რიგათ იგი საკუთარის ხელით ითხრის საფლავს.

ჩვენ აგრეთვე ვეთანხმებით ამხანაგ „ტაქტიკის“ ავტორებს და მათ აზრის გამზიარებელთ, როდესაც ისინი გვეუბნებიან „რომ ყოველ ცვლილებას მსოფლიო მხედველობაში, ყოველ შეკეთებას, შესწორებას თუ შევსებას გამგე პრინციპებისას ახალ ფაქტთა ზემავლენით უნდა მოყვეს შესაფერი ცვლილება ტაქტიკაშიც,*) მაგრამ აქედან ჩვენ სრულიადაც ვერ გამოვიყვანთ დასკვნას, რომ ტაქტიკა ეგ ხელ მიუკარებელი, რამ იყოს და უძრავათ არის მიჯაჭული მსოფლიო მხედველობაზე.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ მარქსისტების აზრს, რომ ტაქტიკა შეიძლება დღე და ღამეში ოცდა ოთხჯელ შეიცვალოს და ოლონ მომენტის დირიჟორობა ხელთ იგდო და შეიძლება ტაქტიკურის მოსაზრებით პრინციპები დროებით საკუჭნაოში შეინახო, მაგრამ ვერც იმ მოსაზრებას შევურიგდებით დავირწმუნებთ, რომ „მას ჟამსა შინა“ გამომუშავებული ტაქტიკა ყველგან და ყოველთვის ჩვენთვის წმინდათაწმინდა იყოს და ხელ მიუწვდენელი.

პირ იქით ტაქტიკას ახასიათებს მისი მოძრავი თვისებები. მისი შეცვლა ცხოვრების მიერ შექმნილის პირებებზე არის დამოკიდებული და თუ მას არ შევუფარდეთ მაშინ ცხოვრება გაგვრიყავს, ცალიერზე დაგვსამს და მსოფლიო მხედველობაც მიუვალი, ბნელი ზღუდეებით შემოიღობება. ამიტომ, ჩვენის აზრით, არის ხოლმე ისეთი მომენტები როდესაც მსოფლიო ურყევათ რჩება სალ ვლდერავით, მაგრამ ტაქტიკა კი იცვლება და მოძრაობაშია და მისი სიდიადეც და თუ გინდათ მეტსაც ვიტყვით მოვალეობაც ის არის რომ იგი ეძებს ყოველთვის გზებს რათა მსოფლიო მხედველობას უკან არ ჩამორჩეს, არ უღალატოს ყველას დაუმტკიცოს მისი ჭეშმარიტება, იმ გზით, რა გზაც მას ამოურჩევია სამოქმედოთ. და ამნაირათ გაუკაფოს მას ის ეკალნარი, რომელიც მას შეხვდება მსვლელობის დროს.

თუ ყოველივე ზემოთ თქმულს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ უდავო ჭეშმარიტებათ უნდა იქნეს აღიარებული, რომ ტაქტიკა ამა თუ იმ პარტიისა ან კავშირისა უსათუოდ ადგილობრივ მდგომარეობასთან, პირობებთან, და მომენტიან უნდა იქნეს შეფარდებული. ყოვლათ შეუძლებელია, ეს თვისებები არ იყოს მხედველობაში მიღებულ და ერთი და იგივე პარტია ან კავშირი ერთს სადმე ცენტრში შეუძლებელია და შეუწყნარებელია პარტია ერთისა და იმავე გეგმით მოქმედებდეს მაგალითად ოსმალეთში, ინგლისში და ირლანდიაში გინდ საფრანგეთში და ბელგიაში ან სხვაგან ვინაიდან ხსენებულს ქვეყნებში სხვა და სხვა პირობებთან მოუხდება მას ანგარიშის გაწევა შეჯახება და სხვა და სხვა სულის კვეთების ხალხთან მოუხდება მოქმედება, როგორც ეჭვს გარეშეა უდრეკ და სარგებლიან მოქმედებისათვის პირველ-ხარისხოვანი მნიშვნელობა.

მაგალითად დღეს საფრანგეთი კულტურული ქვეყანაა და თავისუფალი მისი მშრომელი კლასი შეგნებულია კლასიურათ და არავითარი მიზეზი არ უშლის ხელს რათა იგი პირის პირ წარსდგეს ბურჟუაზიასთან საბრძოლველათ და ბრძოლა იგი შეუპოვრად აწარმოოს, როდესაც ოსმალეთი სარწმუნების მიერ შექმნილს ფანატიზმში არის ჩაფლული და ყოველი ადამიანი ბიუროკრატიის მიერ შექმნილს დეს პოტიზმს უპიროვნო სულიერ საგნათ უქცევია, რომელსაც არ გააჩნია ყოველ ადამიანთათვის საჭიროების შეგნება და მაშასადამე დღეს დღეობით არც იბრძვის მის მოპოებისათვის ინგლისში კი შეიძლება, შეიძლება ასეთის სალტებით არ იყოს შებოჭვილი პროლეტარიატი, მაგრამ ის უკვე სრულიად გათვითცნობიერებულია, გამობრძმედებულია ბრძოლაში და მის უფლებების გაფრთოებისთვის თავდადებულათ იბრძვის და მას ასე ადვილათ არც არავის გაათელიებს ფეხ-ქვეშ. ირლანდიის მშრომელ ხალხს ეროვნული თავისუფლების მოპოება ტკბილს ოცნებათ გადაქცევია და იძულებული გამხდარა თავის კლასიური ინტერესებს უკან დაეყენებია. მეორეს მხრივ ინგლისი და საფრანგეთი ეროვნულათ თავისუფალი ქვეყნებია, რომელთაც არ იციან თუ რი არის ეროვნული ჩაგვრა პირ იქით მათ უპყრიათ მსოფლიო დირიჟორობის ჯოხი და ისე სწყვეტენ მსოფლიოს ბედ-იღბალს ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებით რომ ვსთქვათ თითქოს ამღერდენ კამართელებს“.

ამ დროს კი მათ თავისუფლებას იცავენ უნიჭიერესი დიპლომატები ლოიდ-ჯორჯი დამანი მისნი, რომელთაც მხარს უმშვენებს ინგლისისა და საფრანგეთის მრავალ რიცხოვანი და გაწვრთნილი ლაშქარი და მათ კი ეკონომიურათ ზურგს უმაგრებს მრავალრიცხვოვანივე ძლიერი ბურჟუაზია. ამ დროს კი ტვირთ მძიმე ბელგია იერემი სებურის გოდებით ცხარეთ დასტირის დანგრეულს სამშობლოს და ნაოხრათ ქცეულს კულტურას.

და იმის ცდაშია, წამოაყენოს ფეხზე, ფეხიზელ დარაჯათ უდგეს მას, რათა კვლავ, არ შეიქნეს მსხვერპლი ბრძოლის ღმერთისა, და მრავალ ტანჯული ირლანდია კი მონობის ტვირთ ქვეშ მძიმეთ გმინავს და მისი ჭირისუფალი —მშობელი მასსა მებაირახტრეთა მეთაურობით იმის ცდაში არიან, რათა მონობას თავი დააღწიონ და „კაცთაშორის კაცათ იქნეს ცნობილი“, დიახ ყოველივე ეგ მისაღებია მხედველობაში მომქმედ პარტიისთვის და გათვალისწინებულ აქვთ ხოლმე პოლიტიკურსა სოციალისტურს ასპარეზზე მომქმედ მოღვაწეთ, მას ანგარიშს უწევენ და ამის შედეგი გახლდათ ის, რომ როდესაც დიდი რევოლიუციის პროცესში ოდესღაც ძლიერ რუსეთს ანარქიის ალი მოედო ერთის მხრივ და მეორეს მხრივ კი გერმანიის ლაშქარი ფიზიკურ განადგურუბას უქადდა, უკიდურესი ანარქისტი, სახელმწიფოსი და მანოების დაუძინებელი მტერი პეტრე კრაპოტკინი ურჩევდა რუსის ხალხს. დამფუძნებელი კრების დაჩქარებით მოწვევას, რომელსაც უნდა გამოემუშავებია რუსეთის სახელმწიფოებრივი ფორმა და დაჩქარებით ჩამოეყალიბებია იგი ამ ფორმაში, შეექნა დისციპლინა. და მით მოსალოდნელი უბედურება თავიდან აეცილებია. ამით მას რა თქმა უნდა თავის მსოფლიო მხედველობისთვის წიხლი არ უკრავს, არ უარუყვია, სახელმწიფო და მისი ორგანოები ფეტიშათ არ აღუარებია, არამედ ანგარიში გაუწია შექმნილ პირობებს, გამოსავალი გზა ჰქეთ პოვა დროებით, შეურიგდა ამ უბედურებას, და საჭიროთ სცნო მისი არსებობა ტაქტიკურის მოსაზრებით როგორც გარდამავალ ორგანიზაციისა, რომელსაც შეეძლო სარგებლობის მოტანა. ამ მოკლე დროში მცირე ასეთი შემთხვევა მოხდა: როცა ვილსონის მეთაურობით „მეუფეთ ამა ქვეყნისა“ განიზრახეს ზავის ჩამოგდება და ამისთვის შექნეს პარიზის სამშვიდობო კონფერენცია თავის სხვა და სხვა ორგანოებით რომელსაც გარედგან მრავალფეროვანი და მრავალ-ფარდოვანი ლამაზი სიტყვები ამშვენებს თუმცა ფაქტიურათ კი ყოველ ივეს აბუჩათ იგდეს და ბურჟუაზიის პირმშო შვილია, რომლის შემწეობითაც იგი ურცხვათ და დაურიდებლათ თავის საკუთარს საქმეებს აჭახრაკებს. მსოფლიოს მესატევებმა მოისურვეს ბურჟუაზიის საქმეები მის მოწინააღმდეგე კლასსაც ეკეთებინა და ამ მიზნით მოწვეულ იქნა კონფერენციაზე მუშათა წარმომადგენელი სწორეთ ასეთს დაწესებულებაში საფ-

*) ახალი ნაკადი № 44, 1919 წ.

## ქუჩის პოეტი
(პოეტ არწივიდან)

ქუჩაა ჩემი სამშობლო,—და სადარაჯო.
ბრძოლაა ჩემი სამკობლო,—და საფარაჯო.

ქუჩაში ვიშვი... და აქვეა ჩემი საფარი;
ბრძოლაში ვილხენ სხვაგან ტლუ და მიუსაფარი.

წითელ აკვანში ალვიზარდე ხალხის ზვარაკი;
სისხლის წვიმებში შევისწავლე მაშვრალთ არაკი.

აქაა ჩემთა არწივთ ბუდე,—სად გმირთა ზრდიან,
ვისაც ნეტარი—სიყვარულის—თვალთ ცრემლი სდიან.

ალისფერ ქნარზე, აქ ავკინძე ენა სიოსი!—
ქუჩის რაინდებს შევთავაზე მზე მსოფლიოსი.

ჩირადნით ხელში: შეტევაზე ვიხმობ კერპთ ურჩებს,—
თავისუფლების კავალრებით ვავსებ ლურჯ ქუჩებს.

დეე, დავეცე მონათ ტანჯვის ტრფობა ღუღუნში,
ოღონდ ალვიგო: ძეგლი, ქუჩის ჭრელ ბრბოს გუგუნში!..

ქუჩაა ჩემი შვენება,—სიცოცხლის ჰუნე;
ბრძოლაა ჩემი სვენება,—სიკვდილის მთრგუნე!..

ს. ერთაწმინდელი.

## რკალიდან: კვირის წირვები.

მე ბროლის მკლავით დავეწევი სასტიკ ზმანებებს.
ტანჯვის მორევში დაისვენებს ჩემი ცოდვები.
შენს მიმქრალ სახეს შემოდგომა მე არ მანებებს,
და აქ თბილისში თვით მათხოვარს შევეცოდები.
მე ეს შუადღე გამაოცებს თავის დოცვებით.
მცხეთის ტაძარში გადავითვლი გაძარცულ გრძნობებს.
წვიმის ლანდებში ვიმალები დამის ოცნებით.
ო, ეს წუთები რა რიგ მაწვდის საშინელ ცნობებს.
ანთებულ გრძნობით ავავივლე ცრემლი თვალებში,
საშინელებით მეზმანება დაფორკის მესტი.
მეტად მწვავეა ეს ქვეყანა დამის რკალებში,—
და ჩემი დექსი ყაჩაღების ცრუ მანიფესტი.
კვირის წირვებში ცოდვილ ტაძრებს ასწევენ მკვდრები.
თავის წამებას სამრეკლოზე მარტო მე მინდა...
ო, ვიერი მეხლებს, სინანულით შენ გევედრები,—
მე გაჭივრებულს და საცოდავს ღმერთო შემინდე!...

ტ. გრანელი. (წალენჯიხელი

რანგეთის სინდიკატებმა გაგზავნეს თავის წარმომადგენლად ცნობილი ანარქისტი ლეონ ჟო. რისთვის მოხდა ეს?! ნუთუ ლეონ ჟოსდა მის ამხანაგებს, გაუმრთელდათ გული ბურჟუაზიაზე და მათ მიერ შექმნილს დაწესებულებაზე ან და იქნება ისინი იქიდან რასმეს ნუგბაყოფლობით გამოელოდენ არა, სრულიადაც არა, ისინი კვლავ ურყევათ დარჩენ თავიანთ აზრზე. მხოლოთ ეგ საშვალება მათ გამოიყენ საიგიტაციოთ და მით ცდილობდენ დაემტკიცებიათ ქვეყნისთვის მათი მსოფლიო მხედველობის სიმართლე. მაშასადამე ისინი ამას შეურიგდენ ტაქტიკურის მოსაზრებით.

ჩვენც, რევოლიუციონურ სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირის წევრნი ყოველივე ზემოთ თქმულს ანგარიშს უნდა ვუწევდეთ, ტაქტიკის შემუშავების დროს. ბრმათ არ უნდა გავყვეთ ვისმეს ან რასმეს და მარტო ლამაზათ ნაშენ მოსაზრებებს. რომლიც შეიძლება ცხოვრებასთან შეჯახების დროს ნატრათ იქცეს და უტოპა ამოჩდეს

მაშასადამე ზემოთ ნათქვამიდან შეგვიძლია ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: **მსოფლიო მხედველობის ცხოვრებაში გამტარებელი საშვალება—ტაქტიკა, უსათუოთ გამომდინარეობს გამგე პრინციპებიდან, მსოფლიო მხედველობას უსათუოთ უნდა მოყვეს ტაქტიკის შეცვლა, თუმცა შეიძლება პირველი ურყევათ დარჩეს. მაგრამ ტაქტიკა კი იცვლებოდეს, ვინაიდან იგი უსათუოთ ანგარიშს უნდა უწევდეს ცხოვრების მიერ შექმნილს პირობებს და სამოქმედო ასპარეზს.**

სერ. გერსამია.

## კონგრესი საყველთაო შრომის კონფედერაციისა.

შარშან საფრანგეთში გაიმართა საყველთაო შრომის კონფედერაციის კონგრესი.

ანგარიში ამ კონგრესის შესახებ მოთავსებული იყო ადგილობრივ გაზეთებშიაც. ეს ანგარიში დღესაც არ არის მოკლებული ინტერესს და ამიტომ ვათავსებთ მას ჩვენს გაზეთში. კონგრესზე თავი იჩინა ოპოზიციონურმა მიმართულებამ. რომელიც კონფედერაციის ხელმძღვანელთ უსაყვედურებდენ, თქვენ დაივიწყეთ ჩვენი იდეალი და კლასთა შორის შეთანხმების გზას დაადექითო. პირველ სიტყვა მოყვანილ ანგარიშში ოპოზიციის წარმომადგენელს ეკუთვნის.

ჩვენ არ ვამტყუნებთ უმრავლესობას იმაში, რომ მათ ვერ მოახდინეს რევოლუცია, ჩვენ მხოლოთ უსაყვედურებთ მათ, რომ ისინი ვერ იქცევიან რევოლიუციონურათ.

რევოლიუციონურ აქტათ ჩაითვლება ინტერნაციონალთან შეკავშირება. თქვენ ამბობთ, თითქოს ჩვენ გაურბოდეთ ყოველდღიურ სამუშაოს, ეს არ არის მართალი. პირიქით ჩვენ აღვიარებთ აუცილებლობას ყოველდღიურ მუშაობისას და მხურვალე მონაწილეობასაც ვიღებთ მასში; მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ლოველდღიური მუშაობა შეიძლება მიმდინარეობდეს 2 სხვა და სხვა სახით: პირველი-**კლასობრივი ბრძოლის** სახით და მეორე-**კლასობრივი თანამშრომლობის** სახით.

ჩვენ ვამჩნევთ, რომ უმრავლესობა ჩვენი სინდიკატთა წევრებისა მოდიან ჩვენთან ვიწრო მატერიალურ მოთხოვნილებებითო და ეს გარემოება გვავალებს შევაბრძოლოთ ასეთ მოვლენებს და გარდაქმნათ ისინი. მათვის მოთხოვნილებების წაყენება და მოლაპარაკების გამართვა არ არის კლასიური თანამშრომლობა, უკანასკნელს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სხდომებს მართავენ კაპიტალისტებთან იმ მიზნით, რომ გამონახონ როგორმე საერთო ენა. რევოლიუცია არა მარტო კატასტროფიული აქტია; უტოპია იქნება ფიქრი იმის, რომ თანამედროვე საზოგადოებაში შეიძლებოდეს წინდაწინვე შექმნა ისეთი რეჟიმისა, რომელმაც უნდა გამოსცვალოს ძველი: ჩვენ ყველა ერთნაირათ უწოდებთ **ნივთების** არსებულ მდგომარეობას რევოლიუციონურს დაგვრჩა მხოლოთ გონების გარევოლიუციონერება, მეზღვაურების ყოფაქცევამ შავზღვაზე და ჯარისკაცებისამ ოდესაში აუძულეს მთავრობა უარი ეთქვა რუსეთის საქმეებში შეარაღებული ძალებით ჩარევაზე. მხოლოთ დაუშრეტელი ბრძოლით ჩვენ შეგვიძლია გადავარჩინოთ პროლეტარული რევოლიუცია".

ილაპარაკეს რამოდენიმე ორატორმა უმრავლესობის და უმცირესობის მხრივ და შემდეგ კი სიტყვა მიეცა **დიმულიენს** და **ჟუის**.

„აქ ლაპარაკობენ (ამბობს დიმულენი) კლასიურ ბრძოლისა და კლასიურ თანამშრომლობაზე; არ უნდა დავივიწყოთ, რომ სახელმწიფო ამ უკანასკნელ ხანებში შეიქმნა წარმოების უმთავრეს აგენტია და მონაწილეო. განა ეს იმას ნიშნავს, რომ საყოველთაო შრომის კონფედერაცია დაადგა კლასთა თანამშრომლობის გზას? როცა დაინტერესებული პროფესიონალი კავშირები მიმართავდენ კონფედერაციას მოთხოვნილებით, მათი მიზანი იყო რომ ისინი ჩაერეოდენ ბრძოლაში და სოციალური ვექილობის სახით დაეცვათ მათი ინტერესები. არც რვა (8) საათის სამუშაო დღე, არც ხელშეკრულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ პირობებს მოხმარებისას, არ წარმოადგენს კლასობრივ თანა მშრომლობას. ინგლისში მუშათა ორგანიზაციები შეიკრიბენ ერთად და დაადგინეს მოეთხოვათ მადნეულობის ნაციონალიზაცია. ტრიედ იუნისტებმა მიმართეს ბონარ ლოუს და მოსთხოვეს აეკრძალა მას რუსეთის საქმეებში ჩარევა განა ასეთი საქციელი კლასთა თანამშრომლობაა?. შრომის საერთაშორისო კონფედერაციას არასოდეს არ დაუდევს ხელშეკრულება მთავრობასთან იგი ისეთივე ნაბიჯს დგავდა მთავრობის მიმართ- როგორსაც ინგლისელი ტრედ--იუნონები, აქ ლაპარაკობენ ინტერნაციონალზე, მაგრამ უმცირესობას ერთსულოვანი განწყობილება აქვს მე-3 ინტერნაციონალისადმი. არსებობს 3 ინტერნაციონალი: ლიუცერნის. ამ სტერდამის და მოსკოვის, არ არის საკმარისი მარტო კომპესის, ლეგიენას, აპილეონის სახელების მოხსენება. ეს მხოლოდ პიროვნებებია, მაგრამ მათ უკან დგანან 18 მილიონი ორგანიზაციულათ დარაზმული მუშებისა და აი ეს არის ინტერნაციონალი ჩვენთვის არ არსებობს არც პირველი, არც მეორე და არც მესამე ინტერნაციონალი, ჩვენ გვწამს მხოლოთ ერთი მთლიანი ინტერნაციონალი, რომელიც აერთებს ყველა მუშურ ორგანიზაციებს ყოველი ქვეყნისას. ეკონომიური აღორძინება ქვეყნისა ჩვენ გვიყენებს მრავალ მოვალეობას, რომლებთაც ჩვენ არასოდეს არ უნდა გავექცეთ აუცილებლივ უნდა დაცულ იყოს გერმანელი მუშების, ინტერესებიც რომლებიც ჩვენთან მოვლენ და მიიღებენ მონაწილეობას ამ შრომაში. შემდეგ დიუმულენი ეხება 21 ივლისს მომხდარ ამბებს და აღნიშნავს, რომ ზოგიერთ პროფესიოვალურ გაფიცვის დამარცხება ცუდათ იმოქმედა მასაზეო მასთან ერთად, ამბობს დიმულიენი მარტო ჩვენ ხომ არ ვქმნით ამა თუ იმ შემთხვევებს ცხოვრებაში, ჩვენს გარდა არის მთავრობა, ჯარი; გლეხობა და მასთან ამა თუ იმ მოვლენის წარმოშობაში დიდ როლს თამაშობს გამარჯვებაც, მომხდარ ამბებზე გავლენა იქონია ანგრეთვე ჩვენი ამხანაგების ტაქტიკამ, რომელსაც აწარმოებდენ საზღვარგარეთ--კერძო კი ინგლისში, ჩვენი განზრახვა იყო 2 ივლისის გამოსვლით დაგვესწრო ნაციონალურ ზეიმისთვის, რომელიც უნდა მომხდარიყო 14 ივლის, მაგრამ ხელი შეგვიშალეს იტალელმა ამხანაგებმა მათ გთხოვეს გადაგვედვა საერთო გამოსვლა, რადგან ისინი არ იყვნენ მომზადებული ამისათვის ჩვენ გვისაყვედურებენ, არ ეპყრობით ყურადღებით რუსეთის რევოლიუციასო მაგრამ დაე მაშინ ის ამხანაგები, რომელიც მომართავენ მე, როგორც ეს ჩაიდგნეს მერტ მოზელში და დონგში, ნუ მომთხოვენ ხოლმე საწინააღმდეგოს-არ ვილაპარაკო რუსეთის რევოლიუციისადმი სოლიდარობაზე ძლიერ ზნეო. ბრივ გავლენას ახდენს იმ ამხანაგების კრიტიკა, რომლებიც მერე მოდიან სრულიათ საწინააღმდეგო მოთხოვნილებით. ჩვენ ძალგვიძს ავხსნათ მოვლენანი ჩვენი საქმეა არჩევანი მოვახდინოთ სასიამევნო და არბ სასიმევნო მოვლენათა შორის. არ არის საკმარისი მარტო ვითვალოთ ძალები, უნდა შევიძლოთ მათი ღირსეული გამოყენებაც.

(შემდეგი იქნება).

## მუშათა ცხოვრება

**სამხედრო სამინისტროს სახელოსნო**

აღნიშნული სახელოსნო სამხედრო უწყებიდან აღებული აქვს იჯარით ი. სირაძეს, სადაც 60 მუშამდე მუშაობენ და ჰკერავენ სამხედრო უწყებისათვის ფეხსაცმელებს. როგორც გადმოქვცეს **სამხედრო სამნეო კომიტეტს** განუზრახავს აღნიშნული სახელოსნო დახუროს და მომავალში ფეხსაცმელების შეკერვის საქმე შინაურულად მოაწყოს. (ოჯახური წესით) ამ რიგად განზრახულია დაარღვიონ პირობა ი. სირაძესთან, რომელიც არც კი იქნება წინააღმდეგი, ოღონდ მუშების ლიკვიდაცია მიიღოს თავის თავზე სამხედრო უწყებამ. ჩვენ გვახსოვს რომ სამხედრო უწყებამ რომმას მიეღო შეკვეთა ფეხსაცმელების შეკეთებისა თავის სახელოსნოთი და მუშებით, (ალბათ მუშების თავიდან მოშორება უნდოდათ ულიკვიდაციოთ) მაგრამ სირაძე არ დასთანხმდა; რადგან მუშების ლიკვიდაცია იყო მოსალოდნელი, რასაც დიდი თანხა დასჭირდებოდა.

ახლა სამხედრო სამნეო კომიტეტს რაღაც სხვა გეგმა გამოუგონია რაც ჩვენ გვგონია მუშების საზარალოდ უნდა იყოს და აი რატომ:

თუ არსებული სახელოსნო [illegible] და მუშებს მიიპატიჟებენ შემკეთებელ სახელოსნოში, რომელიც სამხედრო სამნეო კომიტეტის გამგებლობაშია, რომელიც მოწყობილი არ არის ისე, როგორც არსებული სახელოსნო, მოსალოდნელია, რომ მუშები ერთი-ორი თვე მოსცდენ მუშაობას და ამ ხნის გამავლობაში ეს ორგანიზაცია დაიშალოს და თანაც სალიკვიდაციო ფულსაც ვერ მივიღებთ.

როდესაც ჩვენ გავიგეთ, რომ მომავალში ი. სირაძეს შეკვეთის მიცემას აღარ უპირებენო და ჩვენც ხშირად გვიხდებოდა შეტაკება ჯამაგირის თავის დროზე მიუღებლობის გამო აღძრული იქნა შეგნებულ ამხანაგებში ამხანაგობის დაარსების საკითხი; მოწვეული იქნენ ზოგიერთი გამოცდილი ამხანაგები და შედგენილი იქნა მწარმოებელ კოოპერატიულ ამხანაგობის წესდება, რომელზედაც ხელი იქნა მოწერილი ჩვენი და შემკეთებელ სახელოსნოს 7 მუშის მიერ, რაც კანონით არის მოთხოვნილი და წარდგენილი იქნა დასამტკიცებლად.

როდესაც წესდება მივიღეთ დამტკიცებული, ამორჩეული იქნა გამგეობა და დავავალეთ მომავალში ფეხსაცმელების შეკვეთა მისცემოდა ამხანაგობას. ჯერ ამხანაგობას პასუხი არ მიულია, მისცემენ თუ არა შეკვეთას, მხოლოდ ის კი გავიგეთ რომ სახელოსნოს ხურავენ და შინაურული წესით აპირებენ მომავლში მუშაობსო.

ამხანაგებო! გირჩევთ შემოკრბეთ ამხანაგობის გარშემო და შეკვეთაც ჩვენ მოგვეცემა და სხვა დიდ საქმეებსაც მოვ კიდებთ ხელს. ჩვენი ამხანაგობის მიზანია მოაწყოს ყოველ გვარი სახელოსნო და ქარხნები ტყავეულების დასამზადებლად და ჯარს გარდა დაუმზადოთ ყოველგვარი ფეხსაცმელები ჩვენს ძმებს სოფლის მუშებს რომლებსაც დღეს სპეკულიანტები ტყავს აძრობენ და 100 მანეთიან ფეხსაცმელში 2,000 მანეთს ახთევინებენ.

მაშ ასე ამხანაგებო! შემოკრბით ამხანაგების გარშემო და არ დაუჯეროთ იმ მატყუარა ვითომდა ჩვენ ამხანაგებს, რომლებიც გვეუბნებიან:

ამხანაგობა არ ვარგა ჩვენ „ხაზეინი" გვირჩევნია, ჩვენ წინააღმდეგი ვართ ამხანაგობისაო, და სხვა.

ამხანაგებო! ამხანაგობას ყველგან ნდობა აქვს ყველა ანგარიშს უწევს. ამიტომ ჩვენც უსათუოდ უნდა ხელი მოვკიდოთ წარმოებას და რაც ჩვენთვის „ხაზეინს" უნდა გაეკეთებია, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ისე, როგორც ეს შეეფერება თავისუფალ შეგნებულ მუშებს.

ამხანაგებო! შევიგნოთ ჩვენი სარგებლობა .. შორს ჩვენი მოღალატეები გაუმარჯოს მწარმოებელთა ამხანაგობის სინდიკატს.

ძველი მუშა.

## ფედერალური საბჭოს კრება.

შაბათს, აპრილის 17-ს დილის 10 საათზე ქ. ქუთაისში გაიხსნება ჩვენი კავშირის ფედერალური საბჭოს კრება. კრების საგანია-განხილვა მოხსენებისა.

## მომ. ნტსა და ტაკტიკაზე.

თითეული ორგანიზუი კრებაზე გზავნის ერთ წარმომადგენელს. ადგილი კრებისა დელეგატებმა უნდა გაიგონ **ამხ. იაკობ ფანცხავას** ბინაზე. (ოცხილის შემახევში. საკუთარი სახლი).

რედაქტორ-გამომცემელი

კოლეგია

ქართული ბეჭდვითი ამხანაგობი სტამბა, რუსთაველის პროსპექტი, № 26.